



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 28 თებერვალი, 2014 წელი

დრო: 15:00 – 17:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
2. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
3. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
4. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი "ეკოტექი"
5. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
6. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
7. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტი "საქართველო 2020". ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს თანაკოორდინატორისა და დამსწრეების მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე, წარმოადგინეს თავიანთი კომენტარები და წინადადებები. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენლის თქმით, სტრატეგიის პროექტის შემუშავებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული, თუმცა აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება და კონსტრუქციული დიალოგის ფარგლებში მთავრობისათვის შენიშვნებისა და კომენტარების მიწოდება. თანაკოორდინატორის აზრით, საჭირო იყო დოკუმენტის შემუშავების პროცესში არასამთავრობო სექტორის ჩართვა. ამის სურვილი თავიდანვე გამოხატა მესამე სამუშაო ჯგუფმა, თუმცა მთავრობის მხრიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა.

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის თქმით, დოკუმენტი განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე და გამოტანილია განსახილველად, თუმცა გასარკვევია განხილვის პროცედურები და ვადები. მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ განხილვის მექანიზმების, პროცედურებისა და ვადების დასადგენად ჯგუფის წევრები მოამზადებენ ოფიციალურ წერილს.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენლმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია 20 თებერვალს ჩატარებული სემინარის „საქართველოს გაწვევრიანება ენერგეტიკულ გაერთიანებაში, შესაძლებლობები და გამოწვევები“ შესახებ. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული სემინარი წარმოადგენს ენერგეტიკის პოლიტიკის და მდგრადი განვითარების სემინარების ციკლის პირველ სემინარს. ზოგადად სემინარების ციკლის მიზანია ხელი შეუწყოს პროფესიული განხილვების გააქტიურებას, რადგან საქართველოში მწვავედ დგას პროფესიული განვითარების პრობლემა. სემინარები საინტერესო იქნება როგორც ჟურნალისტებისთვის, ასევე ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისათვის.

სემინარში „საქართველოს გაწვევრიანება ენერგეტიკულ გაერთიანებაში, შესაძლებლობები და გამოწვევები“ მონაწილეობა მიიღეს მთავრობის, პარლამენტის, ევროკავშირის, სამოქალაქო სექტორის, ენერგეტიკის, უნივერსიტეტების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სემინარი გახსნა ევროკავშირის კომისარმა ენერგეტიკაში გიუნტერ ოტინგერმა. დამსწრეებმა განიხილეს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს წევრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ამ გზაზე ენერგეტიკული სექტორის წინაშე მდგარ გამოწვევები.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენლის თქმით, ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწვევრიანების შესახებ მოლაპარაკების დაწყება ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველო-ევროკავშირის ენერგეტიკულ ურთიერთობაში. მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა კანონმდებლობის გამჭვირვალობა. აღსანიშნავია, რომ ის ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოს ამ ეტაპისთვის აქვს დადებული (მაგ. შახდენიზი), არ შეესაბამება ენერგეტიკულ კანონმდებლობას, თუმცა ქვეყანა იღებს ძალიან დიდ ენერგეტიკულ და ეკონომიკურ სარგებელს. აქედან გამომდინარე, მოლაპარაკებების მნიშვნელოვანი თემაა დეროგაცია, რაც გულისხმობს გარკვეული პუნქტებისგან, კერძოდ იმ ხელშეკრულებებისაგან განთავისუფლებას, რომლებიც საქართველოს უკვე დადებული აქვს. ვითარებიდან ცალსახა გამოსავალი ადვილი მოსაძებნი არ არის, ამიტომ შესაძლებელია მოლაპარაკებები დროში გაიწელოს.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენლის თქმით, სემინარების ციკლისათვის უკვე შემუშავებულია თემების ჩამონათვალი, რაც სავარაუდოდ დაიგზავნება ჯგუფში და კარგი იქნება თუ ჯგუფის წევრები მონაწილეობას მიიღებენ თემების დახვეწაში. დამსწრეებმა აღნიშნეს, რომ ისინი მზად არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სემინარებში.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია